<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული სამი ჩიხისთვის და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთისთვის მომღერლის მაია თომაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას, მასთან არსებულ სამ ჩიხს და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს მომღერლის მაია თომაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

691667
ხაინგოლოს ქუჩა
ბათლომე ხუციშვილის ქუჩა
ოლიან ბაინცაძის IV ნაკ.
ოლიან ბაინცაძის ქუჩა
ოლიან ბაინცაძის ქუჩა
მელაანის III შესახვევი
NAPR
1 : 2053
გეოგრაფიული (გრძედი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011773616317023

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405

 # 22428

03 / თებერვალი / 2023 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარეს ნინო ვარდოსანიძეს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო
სამსახურის უფროსს ბატონ გიორგი აბუთიძეს

ქალბატონო ნინო,

2023 წლის 25 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის N 14-01230253918 (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერი: 18696/17) მომართვა, რომლითაც მოთხოვნილი იქნა გუჯარეთის II ქუჩაზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სისტემური ნუმერაცია სიტუაციური რუკის სახით, ასევე მითითებულ ქუჩებზე დასანომრი ობიექტების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ სააგენტოს სამისამართო რეესტრში რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტი შემდეგი სახელწოდებით: „გუჯარეთის II ქუჩა“ (სამისამართო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ 2008 წელს გამოცემული ენციკლოპედია „თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები“).

შეგახსენებთ, რომ უძრავი ნივთებისთვის ნუმერაციის მინიჭებისას სააგენტო ხელმძღვანელობს "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონისა და და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის № 487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციით დადგენილი წესებით, რომლის თანახმად ნუმერაცია იწყება დასახლების ცენტრიდან და თანმიმდევრობით გრძელდება გარეუბნების (პერიფერიების) მიმართულებით. დასახლების ცენტრიდან ქუჩის, ჩიხის, შესახვევის მარჯვენა მხარეს არსებულ ობიექტებს ენიჭებათ კენტი ციფრი, ხოლო მარცხენა მხარეს - ლუწი ციფრი.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისას დადგენილ იქნა, რომ გუჯარეთის II ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთებისთვის, თავად ამ ქუჩის გეოგრაფიული მოხაზულობის, განფენილობის გათვალისწინებით, ნუმერაციის მინიჭება შეუძლებელია, ვინაიდან ქუჩას არ აქვს ქუჩისთვის აუცილებელი ძირითადი მახასიათებელი - ერთი დასაწყისი და ერთი დასასრული წერტილი. ცენტრიდან პერიფერიის მიმართულებით ქუჩა იყოფა სხვადასხვა მიმართულების განტოტებებად და აქვს ერთგვარი ქსელური ხასიათი (იხ. დანართი №1).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია, ქუჩის არსებული მოხაზულობა და იმსჯელოთ გეოგრაფიული ობიექტის დაყოფის (ცვლილების) შესაძლებლობაზე.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **19-0120066577**
თარიღი: **06/03/2020**
პინი: **9910**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

ქალბატონო თინათინ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში შემოსულია მოქალაქე თენგიზ თომაძის წერილი (N19/01200643102-01, 04.03.2020წ), რომელიც ქ.თბილისში, ბორის პაიჭაძის ქუჩის მიმდებარედ უსახელო ქუჩისთვის ოპერის მომღერლების-პეტრე, სანდრო და მაია თომაძეების სახელის მინიჭების საკითხს ეხება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გიგზავნით, აღნიშნულ წერილს შემდგომი რეაგირებისათვის და გთხოვთ, გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ განმცხადებელს.

დანართი: 1 გვერდი.

პატივისცემით,

ირაკლი გვილავა

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მაია თომაძე

(1954-1994)

მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი

დაიბადა ქალაქ თბილისში. მაია თომაძემ დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია 1976 წელს.

მას ადრეული ასაკიდანვე ეტყობოდა, აბსოლუტური სმენა და უნიკალური ხმის ტემბრი. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ პატარაობაში სიმღერას უშლიდნენ და ფუნდამენტურ მუსიკალურ განათლებას აძლევდნენ: 5 წლისა ვიოლინოზე მიაბარეს, 8 წლისა კი უკვე იგორ სტრავინსკის ისმენდა. მუსიკალური ტექნიკუმიც ვიოლინოს დიპლომით დაასრულა. კონსერვატორიაში კი უკვე ვოკალურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1976 წლიდან იყო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი (სოპრანო).

1980–1983 წლებში სტაჟირება გაიარა მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე. 1983 წლიდან კვლავ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. 1986 წლის ნოემბერში, ბარსელონაში, მომღერალთა საერთაშორისო კონკურსზე, წარმატებით გაიარა სამივე ტური, პირველ ტურში, მისმა ნამღერმა ესპანურმა რომანსმა მარტო მაყურებლის კი არა, მუდამ თავშეკავებული ჟიურის მქუხარე ტაშიც კი დაიმსახურა ჟიურიში კი იყვნენ, ისეთები როგორებიც არიან: მონსერატ კაბალიე, ირინა არხიპოვა, ჯუზეპე დისტეფანო, რენტა კუპერი, მაგდა ალივიერო).

გამარჯვებულთა კონცერტზე შეასრულა ლეონორასა და აიდას არიები, მერე კი მსმენელის დაჟინებული თხოვნით დიმიტრი არაყიშვილის „ქალის ურმული“ და უკვდავი „სულიკო“.

მის აფიშას მიეწერა, ბარსელონას ფრანსისკო ვინიასის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, პირველი პრემიისა და გრან პრის მფლობელი; წარმატებით ასრულებდა სოპრანოს ყველა წამყვან პარტიას ქართულ და საზღვარგარეთულ ოპერებში, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ეთერის პარტია (ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“), იგი აღიარებულ იქნა წლის საუკეთესო როლად (1977 წელი, 1987 წელი), თამარი (ოთარ თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“), სილვანა (გია ყანჩელის „და არს მუსიკა“), იოლანტა (პეტრე ჩაიკოვსკის „იოლანტა“), დონა ანა (ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის „დონ ჯოვანი“), აიდა, ელისაბედი (ჯუზეპე ვერდის „აიდა“, „დონ კარლოსი“), ფატა მორგანა (სერგეი პროკოფიევის „სამი ფორთოხლის სიყვარული“).

მაია თომაძეს ჰქონდა იშვიათი სილამაზის რბილი ტემბრის ხმა. 1992 წლიდან სამუშაოდ გადავიდა ფინეთში, ქალაქ ჰელსინკში. გასტროლებს მართავდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, თანამშრომლობდა მსოფლიოს წამყვან დირიჟორებთან; „გედის სიმღერად“ იქცა მის მიერ შესრულებული ეთერის პარტია ბათუმის საოპერო თეატრის სცენაზე (1994 წელი).

1987 წელს მაია თომაძეს მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება. 1990-1991 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).